



კომერციული ბანკებისა და ფინტექების თანამშრომლობა: გამოწვევები და შესაძლებლობები

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და კერძო სექტორის ასოციაციების ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება

2024

შენიშვნა: ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ის მთავრობის პოზიციას.

შესავალი

თანამედროვე ფინანსური სისტემა მრავალ ფინანსურ ინსტიტუტს აერთიანებს, მათ შორისაა ტრადიციული კომერციული ბანკები და შედარებით ახალი ფინტექ-კომპანიებიც.

2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კომპანიები, რომლებმაც თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით მომხმარებელს შესთავაზეს სრულიად ახალი გამოცდილება. კერძოდ, მათ მოახერხეს ტრადიციული ფინანსური პოდეტებისა და სერვისების შეთავაზება ციფრული არხების მეშვეობით, რასაც ფინანსური ტექნოლოგიები ეწოდა¹. აღნიშნულმა კომპანიებმა დაიწყეს ტრადიციული ფინანსური სისტემის განახლება, რამაც, საწყის ეტაპზე, ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებში კონკურენციისა და საფრთხის განცდა გამოიწვია, თუმცა განვითარებასთან ერთად, კონკურენციის ნაცვლად, თანამშრომლობის ტენდენცია ჩამოყალიბდა. ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით აღმოჩნდა, რომ ფინტექ-კომპანიებთან თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელია სრულიად ახალი ბიზნეს-მოდელების გენერირება. გამოცდილება აჩვენებს, რომ ბანკებისა და ფინტექ-კომპანიების კოლაბორაცია მნიშვნელოვანია ინოვაციების დანერგვისთვის, მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებისთვის, კონკურენტუნარიანი ფინანსური ბაზრების შექმნისა და, ზოგადად, ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისთვის.

ფინტექ-კომპანია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური სექტორის მომავლის ფორმირებაში ინოვაციების შექმნითა და ფინანსური ტრანზაქციების ეფექტიანობის გაუმჯობესებით. ფინტექ-კომპანიებს უკავშირდება მობილური საფულეების, ელექტრონული ფულის, სწრაფი გადახდის აპარატების, ფინანსურ სექტორში ელექტრონული ხელმოწერების, ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და მრავალი სხვა ინოვაციის დანერგვა, რამაც რეკლუცია მოახდინა თანამედროვე ფინანსურ სისტემაში. ფინტექების საშუალებით ფინანსური სერვისების მიღება შესაძლებელია ალტერნატიული, არასაბანკო ინსტიტუტების მეშვეობითაც.

რაც შეეხება ბანკებს, ფინანსურ სისტემაში სწორედ მათ აკისრიათ ძირითადი ფინანსური შუამავლის როლი და აქვთ რისკების მართვის დიდი გამოცდილება. ბანკები ფლობენ გამართულ შიდა ორგანიზაციულ სისტემებს, ფინანსურ ინფრასტრუქტურას და მომხმარებელთა ბაზას. ბანკებსა და ფინტექებს შორის თანამშრომლობით შესაძლებელია, შეიქმნას ფინანსური ეკოსისტემა, რომელიც იყენებს ინოვაციურ მიდგომებს, აფართოებს მომსახურების სახეობებს და აუმჯობესებს საერთო ეფექტიანობას როგორც რისკების შემცირებით, ასევე რეგულაციებთან შესაბამისობით. ამის მისაღწევად საჭიროა საბანკო სექტორის მხრიდან ორგანიზაციული საზღვრების გახსნა ინოვაციებისთვის.²

ეს პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოში კომერციული ბანკებისა და ფინტექ-კომპანიების თანამშრომლობას, არსებულ დაბრკოლებებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს.

¹ Arner, D. W., Barberis, J., & Buckley, R. P. (2015). The evolution of Fintech: A new post-crisis paradigm. *Geo. J. Int'l L.*, 47, 1271.
² Klus, Milan Frederik, Todor Stefan Lohwasser, Friedrich Holotiuk, and Jürgen Moormann. "Strategic alliances between banks and fintechs for digital innovation: Motives to collaborate and types of interaction." *The Journal of Entrepreneurial Finance (JEF)* 21, no. 1 (2019): 1-23.

გამოწვევები

ინოვაციური მიდგომების მიუხედავად, ფინტექ-კომპანიები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული საბანკო სექტორზე და მათი სერვისების გამოყენებაზე³. მაგალითად, გადახდების დამუშავებისთვის საჭიროა კომერციული ბანკის ჩართულობა, რადგან ბანკები უზრუნველყოფენ ფულადი გზავნილების, საბანკო გადარიცხვებისა და საგადახდო სისტემების ფუნქციონირებას. ასევე, ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტრანზაქციების კლირინგისა⁴ და ანგარიშსწორების პროცესში, რაც ფინტექ-კომპანიებს ეხმარება გადარიცხვების განხორციელებაში. ფინტექ-კომპანიები ასევე ინახავენ სახსრებს კომერციული ბანკების სადეპოზიტო ანგარიშებზე, მარეგულირებელის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კლიენტების სახსრების შესანახად და სხვა საოპერაციო მიზნებისთვის. გარდა ამისა, ფინტექ-კომპანიებისთვის ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის აღკვეთასთან დაკავშირებული მარეგულირებელის მოთხოვნები კომერციული ბანკების დახმარებით ხორციელდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინტექ-კომპანია ვალდებულია, მომსახურე კომერციულ ბანკში ჰქონდეს ანგარიში⁵ და შესაბამისად იყენებდეს მის მომსახურებას ზემოთ ჩამოთვლილი მიზნობრიობით. საქართველოს ფინტექ-ასოციაციის წევრებთან გამართული დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ კომერციულ ბანკებთან ურთიერთობისას ფინტექ-კომპანიები შემდეგ სირთულეებს აწყდებიან:

- **ბანკებზე მაღალი დამოკიდებულება:** ექვირინგისა⁶ და სწრაფი გადახდის აპარატების სერვისების მიმწოდებლები დამოკიდებულნი არიან კომერციული ბანკის მომსახურებაზე და უწევთ ტრანზაქციული საკომისიოების გადახდა, რაც მათ პროდუქტს აძვირებს. გარდა ამისა, ფინტექების მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი ინოვაციის განხორციელება რთულია ბანკების ჩართულობის გარეშე. შესაბამისად, მათ შორის თანამშრომლობის პრობლემები ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის სერვისებს მომხმარებლისთვის და აფერხებს ინოვაციებს ფინანსურ სექტორში.
- **შეზღუდული წვდომა საბანკო მომსახურებაზე:** ბანკებთან თანამშრომლობის კუთხით ყველაზე მწვავე პრობლემაა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებთან⁷ (კრიპტო ვალუტასთან დაკავშირებული მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებთან) თანამშრომლობა. კომერციული ბანკები უარს აცხადებენ ამ ტიპის კომპანიებისთვის

³ Navaretti, Giorgio Barba, Giacomo Calzolari, José Manuel Mansilla-Fernandez, and Alberto F. Pozzolo. "Fintech and banking. Friends or foes?." *Friends or Foes* (2018).

⁴ კლირინგი – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთათავლას; გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში (საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 75).

⁵ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი N1; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N1.

⁶ ექვირინგი – საგადახდო მომსახურება, რომელსაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უზრუნველყოფს მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც მოიცავს გადახდის ოპერაციის მიღებასა და დამუშავებას; შედეგად, ფულადი სახსრები გადაირიცხება მიმღებთან.

⁷ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი – პირი, რომელიც ახორციელებს სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის (ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემას ან ვაჭრობის საგანს და გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების განხორციელების მიზნით) მომსახურებას.

მომსახურების გაწევაზე, რის მიზნადაც სახელდება ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის აღკვეთასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები. ამასთანავე, მომსახურების გაწევაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზია საერთაშორისო საკორესპონდენტო ბანკების მიერ დაწესებული შეზღუდვები, რაც გულისხმობს ბანკების მიერ კრიპტო კომპანიებზე განხორციელებული ტრანზაქციების შეზღუდვას.

- **ხარვეზები კანონმდებლობაში:** კანონმდებლობა არ ავალდებულებს ბანკებს, რომ მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ კომპანიას მოემსახურონ. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის ივლისში ძალაში შევიდა ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერების რეგისტრაციის წესი, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებული კომპანიები ვალდებული არიან რეგულაციებთან შესაბამისობის დადასტურების შემდეგ მოიპოვონ საქმიანობის ლიცენზია, არსებობს რისკი, რომ კომერციული ბანკები ლიცენზირების შემდეგაც არ მოემსახურონ ფინტექ-კომპანიების ნაწილს. კანონმდებლობის თანახმად, შიდა პოლიტიკაზე დაყრდნობით, კომერციულ ბანკებს აქვთ უფლება, უარი თქვან ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მომსახურებაზე.

ბანკებსა და ფინტექ-ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის რეგულირება მნიშვნელოვანია ფინანსური ეკოსისტემის სტაბილურობის, სამართლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, თანამშრომლობის რეგულირება ხელს შეწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, მომხმარებლისთვის ფინანსური მომსახურების მეტი ალტერნატივის შექმნას, ტრანზაქციული დანახარჯების შემცირებას, ფულად სახსრებთან წვდომის გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში როგორც მომხმარებლის, ასევე მცირე ბიზნესის ფინანსების მართვასთან დაკავშირებული გამოცდილების გაუმჯობესებას.

საერთაშორისო გამოცდილება

ფინტექ-სექტორის რეგულირება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ახალი მიმართულებაა და ეტაპობრივად მკვიდრდება, კონკრეტული ქვეყნის ფინანსური სექტორის თავისებურებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ფინტექ-სექტორის განვითარებასთან ერთად ბანკების მხრიდან დამოკიდებულება იცვლება. თუ აქამდე საბანკო სექტორი ფინტექებს კონკურენტებად აღიქვამდა, დღესდღეობით ურთიერთობა თანამშრომლობაში გადაიზარდა. შესაბამისად, კომერციულმა ბანკებმა შეცვალეს მიდგომა და ორიენტირებულები არიან ფინტექ-სექტორთან მაქსიმალურად მოქნილი პირობებით თანამშრომლობაზე⁸.

2020 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ამერიკელმა ბანკებმა აღნიშნეს, რომ ფინტექებთან პარტნიორობა მათი სტრატეგიული გეგმის შეთანხმებული და მნიშვნელოვანი ნაწილია⁹. იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები აშშ-ში მოტივირებულნი არიან ფინტექ-კომპანიებთან თანამშრომლობაზე, აშშ-ის მარეგულირებლებმა გადაწყვიტეს, თვალყური ადევნონ აღნიშნულ პარტნიორობას. 2023 წლის ივნისში გამოიცა სახელმძღვანელო, რომელშიც შეჯამებულია სამი მთავარი მარეგულირებელი ორგანიზაციის (ფედერალური სარეზერვო

⁸ Department for International Trade. 2021. "Landing a Successful Bank-FinTech Partnership in the US." Insight Report. Accessed 2023. <https://assets.publishing.service.gov.uk/media/608670c8d3bf7f01343a0760/landing-a-successful-bank-fintech-partnership-in-the-us.pdf>.

⁹ Lendit Fintech Bankers Survey, September 2020.

სისტემა, დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია და ვალუტის მაკონტროლებელი ოფისი)¹⁰ მოსაზრებები ამ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო ზოგად პრინციპებზეა დაფუძნებული და დიაა ინტერპრეტაციისთვის, თუმცა, შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფა. მაგალითად, ცხადია, რომ ბანკებს ეკისრებათ ვალდებულება, შეაფასონ ყველა ბიზნეს-პარტნიორის რისკი, მაგრამ საჭირო ხდება შემოქმედებითად, სტრატეგიულად მიუდგნენ აღნიშნულ საკითხს. რაც შეეხება ფინტექ-ორგანიზაციებს, მოსალოდნელია, მათ გაეზარდოთ რეგულირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ბანკების მხრიდან. სახელმძღვანელოში მკაფიოდ ჩანს, რომ მარეგულირებლები როგორც ბანკებს, ასევე ფინტექებსაც დააკისრებენ ანგარიშვალდებულებას და აგრეთვე მოსთხოვენ პასუხისმგებლობის აღებას ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში. ამ ტიპის მოთხოვნებისა და აკრედიტაციის სისტემის შექმნა ხელს უწყობს თამამის წესებზე შეთანხმების პროცესს ფინტექებისა და ბანკების თანამშრომლობაში.

საბანკო სექტორზე დამოკიდებულების თვალსაზრისით, აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთისა¹¹ და ჰონგ-კონგის¹² გამოცდილება, სადაც დაუშვეს საგადახლო მომსახურების პროვაიდერებისთვის (PSP)¹³ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ცენტრალური ბანკის სისტემაში. გაერთიანებულ სამეფოში განხორციელებული ცვლილების მთავარი მოტივი იყო ის, რომ PSP-ები არიან ბანკების კონკურენტები საგადახლო მომსახურების მიწოდებაში, რასაც ბანკების (თავიანთი კონკურენტების) შუამავლობით ახორციელებენ. ამგვარად, ფინტექებისთვის ცენტრალურ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნის უფლების მინიჭება უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა საგადახლო სისტემაზე წვდომას PSP-ებისთვის და ამცირებს მათ დამოკიდებულებას კომერციულ ბანკებზე. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას ბანკებსა და ფინტექ-კომპანიებს შორის.

ასევე ჰონგ-კონგში 2023 წლის აპრილში გამოიცა წესი, რომლის თანახმადაც ავტორიზებული ფინანსური ინსტიტუტები მხარს უნდა უჭერდნენ მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ და რეგულირებულ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებს (VASP), ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ მათ ლეგიტიმურ საჭიროებას — ფლობდნენ საბანკო ანგარიშებს¹⁴. აღნიშნული წესი VASP-ებისთვის ამარტივებს ბანკებთან ურთიერთობას და ამცირებს მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული ფინტექისთვის საბანკო ანგარიშის გახსნაზე დაუსაბუთებელი უარის რისკს.

¹⁰ The Board of Governors of the Federal Reserve System (Board), the Federal Deposit Insurance Corporation (FDIC), and the Office of the Comptroller of the Currency (OCC), Treasury. 2023. "Interagency Guidance on Third-Party Relationships: Risk Management." <https://www.fdic.gov/news/financial-institution-letters/2023/fil23029a.pdf>.

¹¹ Bank of the England. 2019. Bank of the England Web site. Accessed 2023. <https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/markets/other-market-operations/accessfornonbankpaymentserviceproviders.pdf>.

¹² The Securities and Futures Commission. n.d. The Securities and Futures Commission Web site. Accessed 2023. <https://apps.sfc.hk/edistributionWeb/gateway/EN/circular/intermediaries/supervision/doc?refNo=23EC44>.

¹³ საგადახლო მომსახურების პროვაიდერი - იურიდიული პირი, რომელიც საგადახლო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახლო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

¹⁴ FintechHK. 2023. "Fact Sheet: Hong Kong Fintech Landscape." Accessed 2023. <https://www.hongkong-fintech.hk/en/insights/news/news-2023/fact-sheet-hong-kong-fintech-landscape/>.

დასკვნა და რეკომენდაციები

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფინტექებსა და ბანკებს შორის თანამშრომლობის შემთხვევები მზარდია და მნიშვნელოვანია აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებული წესების შემუშავება. აშშ-ში, დიდი ბრიტანეთსა და ჰონგ-კონგში დაინახეს ამ თანამშრომლობის რეგულირებისა და, ზოგ შემთხვევაში, ფინტექების ქვეყნის საგადახდო სისტემაში ჩართვის საჭიროება.

საქართველოში ბანკებისა და ფინტექების თანამშრომლობის რეგულირების გარეშე დატოვება ამცირებს ფინტექ-კომპანიების კონკურენტუნარიანობას, აფერხებებს ტექნოლოგიურ განვითარებას ფინანსურ სექტორში და ზრდის ფინტექების დამოკიდებულებას კომერციული ბანკების მომსახურებაზე.

საქართველოში, ფინტექებსა და ბანკებს შორის თანამშრომლობის გამოწვევების გადასაჭრელად, რეკომენდებულია:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შეიქმნას გაიდლაინი, რომელიც დაარეგულირებს კომერციულ ბანკებსა და ფინტექ-კომპანიების თანამშრომლობას, ასევე შეამცირებს კომერციული ბანკების მხრიდან ფინტექების მომსახურებაზე დაუსაბუთებელი უარის რისკს;
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინტექ-კომპანიებისთვის დაუშვას ქვეყნის შიდა საგადახდო სისტემაში ჩართვა (RTGS-ზე წვდომა).

ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ფინტექების კონკურენტუნარიანობის გაზრდას როგორც გადახდის მრავალფეროვანი საშუალებების შექმნით, ასევე ისეთი ტიპის ტრანზაქციების გამრავალფეროვნებით, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად და, ამავდროულად, ცენტრალური ბანკის გავლით¹⁵. გარდა ამისა, მოხდება ინოვაციების წახალისება, ფინანსური სისტემის დივერსიფიკაცია, კონკურენტული და სამართლიანი გარემოს შექმნა ფინანსურ სექტორში და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება.

¹⁵ Bank of the England. 2019. Bank of the England Web site. Accessed 2023. <https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/markets/other-market-operations/accessfornonbankpaymentsserviceproviders.pdf>.